

# ԱՐԵՎԱԴՐԱ

სახალოვნების სას განათლების  
სახალოვნ კომისარიატის გრძა-  
ნიგარა და გაცემაზღულებათა

No. 5—6

Georgie 0 8140 516

1942 v.

၂၀၆၁၁၉၆၀

- |     |   |    |
|-----|---|----|
| 1.  | Директива № 2482, Мурзин по санитарной инспекции в г. Куйбышеве о проверке санитарного состояния зданий и сооружений в г. Куйбышеве . . . . .       | 2  |
| 2.  | Директива № 2608, Куйбышевский областной совет народных комиссаров о проверке санитарного состояния зданий и сооружений в г. Куйбышеве . . . . .    | 4  |
| 3.  | Директива № 2364, г. Куйбышевский областной совет народных комиссаров о проверке санитарного состояния зданий и сооружений в г. Куйбышеве . . . . . | 8  |
| 4.  | Приказ Ульяновской области о проверке санитарного состояния зданий и сооружений в г. Куйбышеве . . . . .  | 12 |
| 5.  | Приказ Ульяновской области о проверке санитарного состояния зданий и сооружений в г. Куйбышеве . . . . .  | 14 |
| 6.  | Приказ Ульяновской области о проверке санитарного состояния зданий и сооружений в г. Куйбышеве . . . . .  | 17 |
| 7.  | Приказ Ульяновской области о проверке санитарного состояния зданий и сооружений в г. Куйбышеве . . . . .  | 19 |
| 8.  | Приказ Ульяновской области о проверке санитарного состояния зданий и сооружений в г. Куйбышеве . . . . .  | 21 |
| 9.  | Приказ Ульяновской области о проверке санитарного состояния зданий и сооружений в г. Куйбышеве . . . . .  | 22 |
| 10. | Приказ № 24-2, по наркомпросу Г. ССР—22/V—42 г. . . . .   | 23 |
| 11. | Приказ № 2668 по Наркомпросу, 4/V—42 г. . . . .   | 25 |
| 12. | Приказ № 3864, 17/VII—42 г. . . . .   | 29 |

ՑԱՅՆԱԿՑՈՒԹՅԱՆ

M2000L0 10/10

ბ რ ძ ნ ე ბ ა № 2482

განათლების სახალხო კომისარისადმისადმი

1942 წ. 22 მაისს

მცხოვის საშუალო სკოლის ზომოვრების ზედეგების  
შესახებ

მიმღინარე წლის 21 მაისს შევამოწმე მცხეთის საშუალო სკო-  
ლაში ამ სკოლის სამოქმედო უბნის სასკოლო ასაკის ბავშვების შე-  
საფერ კლასებში ჩაბმის საქმე.

აღმოჩნდა, რომ სასწავლო წლის მანძილზე სკოლას ჩამოსცი-  
ლებია ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი. ასე, მაგალითად, მე-5-ა  
კლასში აღარ სწავლობს 15 მოსწავლე, მე-5 ბ კლასში 1 მოს-  
წავლე, მე-8 კლასში—9 და მე-9 კლასში—6 მოსწავლე. მსგავს მდგო-  
მარეობას აქვს ადგილი სხვა კლასებშიაც.

ამ მოსწავლეთა სკოლაში უკანვე დაბრუნებისათვის არავითარი  
ზომები არ არის მიღებული, არ არის შესწავლილი მათი ოჯახური  
პირობები და სკოლიდან მათი ჩამოცილების მიზეზები. მეტიც, სკო-  
ლის დირექტორის და კლასის ხელმძღვანელებს სკოლიდან ჩამოცი-  
ლებულ ბავშვთა დიდი ნაწილის შესახებ არავითარი ცნობები არ  
მოჰყოებათ. მე-5-ა კლასის ხელმძღვანელმა, მასწ. იზორიამ და  
სკოლის დირექტორმა ყანჩაველმა არ იციან, თუ რა მიზეზით დას-  
ტოვეს ეს კლასი, ან სად იმყოფებიან ამეამაღ მოსწავლეები: მ. კა-  
ხუაშვილი, დ. მრევლიშვილი, თ. მრევლიშვილი, პ. წიკლაური,  
შ. წიკლაური, გ. სისაური, ო. ქადაგიშვილი; ასევე, გამოურკვევე-  
ლია, თუ რა მიზეზით ჩამოსცილდა სკოლას და სად არის ამეამაღ  
ექვსი მე-8 კლასელი (კლასის ხელმძღვანელი მასწ. ჩხეიძე) და 5 მე-9  
კლასელი (კლასის ხელმძღვანელი მასწ. იზორია) მოსწავლე.

სკოლას არ გააჩნია საქართველოს სსრ განსახულმის მიერ სა-  
ყოველთაო-სავალდებულო სწავლების შესახებ მიღებული სახელმძ-  
ღვანელო დოკუმენტები, სკოლაში მოსწავლეთა მოძრაობის აღრი-  
ცხვა არ სწარმოებს და არ არსებობს საფუძველი გამოტანილი იქნეს  
დასკვნა, რომ გარდა ამ წელში ჩამოცილებული ბავშვებისა მრავალი  
მოწაფეა სკოლის გარედ დარჩენილი.

ეს მდგომარეობა იმის შედევია, რომ:

ა) მცხეთის რაიონის განათლების განყოფილება კონკრეტული პრინციპით ხელმძღვანელობს სკოლას საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საქმეში;

ბ) მცხეთის საშუალო სკოლის დირექტორი ყანჩაველი ვერ აფასებს სათანადოდ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების საქმის დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას, მას არა იქნა შეგნებული, რომ: „ჩვენ უნდა ვასწავლოთ ყველა ბავშვს და უნდა ვასწავლოთ კარგად, ომიანობის ღროვის სირთულის მიუხედავად“ („პრავდა“) და

გ) მცხეთის საშუალო სკოლის მასწავლებელთა კოლექტივი არ არის ერთიანად დარაზმული იმისათვის, რომ სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი იქნეს გაერთიანებული სათანადო კლასებში, ყველა ამისათვის ვგვიძებ:

1. მცხეთის საშუალო სკოლაზე საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საქმეში არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის მცხეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ა. რეხვიაშვილს მიეცეს მითითება.

2. მცხეთის საშუალო სკოლის დირექტორს ყანჩაველს, — რომელმაც ვერ ვაუწია ხელმძღვანელობა სკოლის უბანში მცხოვრებ ბავშვების შესაფერ კლასებში ჩამის საქმეს და ამის შედევად მრავალი ბავშვია სკოლის გარეთ დარჩენილი, — გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

3. სამოქალაქო ისტორიის მასწავლებელი იზორია, რომელიც ვერ უწევს ხელმძღვანელობას კლასიდან ჩამოცილებული ბავშვების უკანვე დაბრუნების საქმეს, მოიხსნას ამ კლასის ხელმძღვანელობიდან.

4. წინადაღება მიეცეს მცხეთის საშუალო სკოლის დირექტორს — ყანჩაველს გულდასმით შეისწავლოს თვითონ და ზუსტად გააცნოს მასწავლებელთა კოლექტივს — საქართველოს სსრ განსახომის დირექტივები საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარების შესახებ, და:

ა) მუშაობაში მასწავლებელთა ჩამით 30 მაისამდე გამოარკვიოს სკოლის სამოქმედო უბანში სკოლაში ჩაუბმელი და სკოლიდან სხვადასხვა დროს გასული ბავშვების რაოდენობა, მათი ოჯახური პირობები და სკოლიდან ჩამოცილების მიზეზები;

ბ) სკოლიდან ჩამოცილებულ ბავშვებთან საზაფხულო არდადებების პერიოდში მოაწყოს ჯგუფური და ინდივიდუალური მეცადინეობა, მისცეს მათ დავალებანი, დააწესოს მასწავლებელთა კონ-



ტროლი და დახმარება მეცადინეობაზე და უსრულელყოს შემთხვევაში გომისათვის მათი გამოცდა, იმ მიზნით, რათა აკადემიურად წიაპინებული შემდეგ კლასებში იქნენ გადაყვანილნი;

გ) მიმდინარე წლის პირველ სექტემბრიდან უკლებლივ ჩა-  
აბას სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი სათანადო კლასებში;

დ) ა/შ 30 მაისამდე შემოიღოს სკოლაში მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვის წიგნი და წესიერად აწარმოოს იგი.

4. წინადაღება მიეცეს მცხვეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს კონკრეტულად შეამოწმოს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების საქმე რაიონში, არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები და შედეგების შესახებ შომახსენოს ა/შ 30 ივნისამდე.

5. ქალაქისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა იღ-  
ნიშნული ბრძანება განიხილონ სკოლების ღირებულებისა და გამ-  
გებს შორის და გაატარონ ყველა საჭირო ორნისძიება საყოველ-  
თაო-საეპლდებულო სწავლების საქმეში არსებული ნაკლის აღმოჩა-  
ფერელად.

საქ. სსრ. განათლების სახ. კომისარი გ. კიკნაძე

განათლების სახალხო კომისარიატისადმი.

1942 V. 4 ივნისი

ყარაბაზის რაიონის ცენტრულ გეოგრაფიულ მდგრად უნდა გაიხს

შემოწმებით დადასტურებულია, რომ ყარაიაზის რაონის სკოლებში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარების საქმეში ადგილი აქვს უხეშ დამახინჯებებს. 1941 წლის სექტემბრისათვის სსენებული რაიონის ყველა სკოლაში უნდა ყოფილიყო 2949 მოსწავლე, ფაქტიურად კი მხოლოდ 2281 მოსწავლე იყო, ხოლო იანვრისათვის ეს რიცხვი შემცირებულ იქნა 1984-დე, ვინაიდან ადგილი ჰქონდა 297 მოსწავლის სკოლებიდან განთესვას. სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვამ მიმღინარე წელს მასიური ხასიათი მიიღო, ასე, მაგალითად, ყარაიაზის რუსული საშუალო სკოლებან (დირექტორი ტრაპეზანოვი) 110 მოსწავლე გავიდა, ყარაიაზის აზერბაიჯანული საშ. სკოლიდან (დირექტორი გასან ჯაფარლი) 89 მოსწავლე განითხა. კესალინის საშუალო სკოლაში, სადაც 360 მოსწავლე ირიცხება (დირექტორი კიაზიმოვი), ა/შ 19 მაისს სკოლაში არ



ერთი მოსწავლე არ გამოცხადებულა, ამის გამო ამ სკოლაში იმავე დღეს მეცადინეობა არ ჩატარებულა, დირექტორისა და მასწავლებლების ცნობებით, ამ სკოლის მე-8 კლასში მეცადინეობა არ ყოფილა მარტის თვიდან, მე-5-6-7 კლასებში აპრილის თვიდან, ხოლო 1—4 კლასებში მაისის პირველი რიცხვიდან. საკლასო უზრნალის მიხედვით 1942 წლის თებერვლიდან ამ სკოლაში მეცადინეობას ესწრება 2—3 მოსწავლე თითო კლასში. მოსწავლეების გამოცხადებლობის გამო მეცადინეობა აგრეთვე არ სწარმოებს აგტაგლინის (სასწავლო ნაწ. გამგე გასან სულტანოვი ასრულებს დირექტორის მოვალეობას), ყალა-ჯალარის (დირექტორი ბაირამ ალიევი) არასრულ საშუალო სკოლებში და ტატიანოვკის არასრული საშუალო სკოლის აზერბაიჯანული სექტორის მე-6 კლასში (დირექტორი როგორი). ტატიანოვკის არა-სრული საშუალო სკოლის მე-7 კლასში 9 მოსწავლიდან მეცადინეობას სისტემატურად მხოლოდ 5 მოსწავლე ესწრება, ყარაიაზის აზერბაიჯანული საშუალო სკოლის 1 კლასში 46 მოსწავლისავან მეცადინეობას მხოლოდ 24 მოსწავლე ესწრება, იმავე სკოლის მე-3 კლასში 23 მოსწავლეთაგან მეცადინეობას ესწრება 11 მოსწავლე, მე-6 კლასში 11 მოსწავლიდან ესწრება 6, მე-9 კლასში 15 მოსწავლიდან—8 მოსწავლე და ა. შ. კესალინის, ყარაიაზის რუსული და აზერბაიჯანული საშუალო სკოლების, აგტაგლინის, ტატიანოვკის და ყალა-ჯალარის არასრული საშუალო სკოლის დირექტორები და ბურლივის დაწყებითი სკოლის გამგე (ისმაილოვი) არ იცნობენ საქ. სსრ გან-სახკომას ინსტრუქციას მოსწავლეთა სკოლიდან სკოლაში გადაყვანის და მათზე საბუთების გაცემის წესის შესახებ, მათ არ გააჩნიათ უზრნალები, არ აწარმოებენ მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვას და არ იციან სად წავიდნენ განთესილი მოსწავლეები.

ადგილზე შემოწმებით დადასტურებულია, რომ განთესილ მოსწავლეთა უმრავლესობა მახლობელ კოლმეუზრნეობებში მუშაობს, სკოლებს კი მათ შესახებ არავითარი ცნობები არ მოეპოვება. ასე, მაგალითად, ყარაიაზის აზერბაიჯანული საშუალო სკოლის დირექტორმა გ. ჯაფარლიმ არ იცის სად წავიდნენ მე-9 კლასის მოსწავლე დ. მამელოვი, მე-6 კლასის მოსწავლე მ. მამელოვი, მე-8 კლასის მოსწავლეები დ. ეიბოვი, ა. ბაგიროვი, ლ. ალიევი, მე-4 კლასის მოსწ. ა. ბაგიროვი, კ. სადიკოვი, ჩ. კაზიმოვი და სხვ. ფაქტურად ეს მოსწავლეები ირიცხებიან ბერიას, კიროვის, კუბიძიშვილის სახელობის და სხვა კოლმეუზრნეობათა წევრებად. ყარაიაზის რუსული სკოლის დირექტორს არ გააჩნია არავითარი საბუთები იმ 110 მოსწავლის შესახებ, რომლებიც სკოლიდან წავიდნენ.



აღნიშნული სკოლების მასწავლებლები არა თუ არ იბრძვიან გამოიყენებოდენ უკუკურნებისათვის, არამედ თითონვე უწყობენ ხელს მოსწავლეთა სკოლიდან განთესვას.

კესალინის საშუალო სკოლის მასწავლებელი გ. ისმაილოვი თავის საკუთარ შვილებს, 1 და მე-5 კლასის მოსწავლეებს, არ გზავნის სკოლაში, მასწავლებელი ბ. მირზოევი არ გზავნის სკოლაში 10 წლის ძმას, მასწავლებელმა მახმუდოვმა კი თავისი და სკოლიდან გამოიყვანა და ა. შ.

ეს სამარცხევინო ჩამორჩენა საყოველთაო-საგალდებულო სწავლების კანონის გატარების საქმეში გამოწვეულია მით, რომ:

ა) ყარაიაზის რაიონის განათლების განყოფილების ხელმძღვანელობამ (გან. განყ. ყოფ. გამგე მამედოვი და ტრაპეზანოვი) გამოიჩინა სრული უპასუხისმგებლობა იმ ამოცანის განხორციელების საქმეში, რომელსაც უდიდესი სახელმწიფო ბრივი მნიშვნელობა აქვს, სკოლებს არ უწევდა კონკრეტულ ოპერატიულ ხელმძღვანელობასა და დახმარებას, არ ამოწმებდა მუშაობას ცალკეულ სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვის წინააღმდეგ და მათი სკოლაში დაბრუნებისათვის.

ბ) სკოლების დირექტორებმა და მასწავლებლებმა ვერ შეაფასეს საყოველთაო-სწავლების კანონის გატარების პოლიტიკური მნიშვნელობა და გამოიჩინეს სრული უდარდელობა ამ საქმისადმი, რის შედეგადაც მოსწავლეთა და მათ მშობლებს შორის არ არის ჩატარებული სათანადო ახსნაგანმარტებითი მუშაობა, ამ საქმეში არ არის ჩაბმული მოსწავლეთა ორგანიზაციები და მშობელთა კომიტეტები, ს/საბჭოს სასკოლო კომისიები.

### აქედან გამომდინარე ვ ბრძანებ:

1. ყარაიაზის რაიონის გან. განყ. განგები ამხ. ნაიბოვმა ა/წ 10 ივნისამდე დააზუსტოს რაიონის სკოლებიდან 1941/42 წლის განთესილ მოსწავლეთა რაოდენობა, შეამოწმოს მათი სკოლებში დაბრუნებისა და აგრეთვე ჯგუფურ და ინდივიდუალურ მეცადინეობაში ჩაბმის მდგომარეობა, სკოლებს გაუწიოს კონკრეტული დახმარება და მიიღოს ყოველგვარი ზომები საყოველთაო-საგალდებულო სწავლების კანონის განუხრელად გატარების უზრუნველსაყოფად.

2. წინადადება მიეცეს კესალინის, ყარაიაზის ახერხბაიჯანული და რუსული საშუალო სკოლების, აგტაგლინის ყალაჯალარის და სხვა არასრული საშუალო და დაწყებითი სკოლების დირექტორებს (გამგებს):

ა) ყურადღებით შეისწავლონ და გააცნონ მასწავლებლებს პარ-  
ტიისა და ხელისუფლების დადგენილებანი და განსახუმის დისტანციულ  
ვები საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარების შესახებ.

ბ) ჩატარონ სათანადო ახსნ-განმარტებითი მუშაობა მშობელ-  
თა შორის და უზრუნველყონ მათი აქტიური მონაწილეობა სასკო-  
ლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვისა და მათი სკოლაში დაბრუნების  
საქმეში.

გ) 10 ივნისამდე სკოლის მომსახურეობის ტერიტორიის ფარგ-  
ლებში დაამთავრონ სკოლებიდან სხვადასხვა დროს განთესილ და  
ავრეთვე სწავლებაში ჩაუბმელ და სკოლის გარეშე დარჩენილ მოს-  
წავლების აღრიცხვა.

დ) ა/შ სექტემბრიდან უზრუნველყონ სასკოლო ასაკის ყველა  
ბავშვის ჩაბმა სკოლებში მათი დაბრუნებისა და სათანადო სკოლებში  
მიღების გზით.

3. საქ. სსრ განსახუმის საგეგმო-საფინანსო სამმართველომ  
ყარაიაზის რაიონში მიავლინოს სამმართველოს 1 მუშაკი სასკოლო  
ქსელის, კლასების რაოდენობის, მოსწავლეთა კონტინგენტის, მასწავ-  
ლებელთა ხელფასების გაცემის წესისა და მდგომარეობის შესწავ-  
ლისა და დაზუსტების მიზნით და შედეგები მომახსენოს მე არა  
უგვიანეს ა/შ 10 ივნისისა.

4. კესალინოს საშუალო სკოლის დირექტორი მ. კიაზიმოვი,  
აგტაგლინის ა/სრული საშ. სკოლის სასწ. ნაწილის გამგე გ. სულ-  
თანოვი, ყალაჯალარის ა/სრული საშუალო სკოლის დირექტორი  
გ. ილიევი, რომლებმაც თავისი მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო  
დამკიდებულებით ჩაშალეს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების  
კანონის გატარების საქმე და ჩაშალეს აგრეთვე სკოლებში მეცადი-  
ნეობა,—მოიხსნან თანამდებობიდან, გამოეცხადოთ სასტიკი საყე-  
დური გაფრთხილებით და გამოყენებულ იქნან სხვა სკოლებში  
მასწავლებლებად.

5. განსახუმის კადრების სამმართველომ ყურადღებით გადაა-  
თვალიეროს ამ სკოლების მასწავლებელთა შემადგენლობა, გაათავი-  
სუფლონ თანამდებობიდან ის მასწავლებლები, რომლებმაც ვერ უზ-  
რუნველყვეს მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულება და სექ-  
ტემბრიდან ეს სკოლები უზრუნველყონ შესაფერის კადრებით.

6. ყარაიაზის აზერბაიჯანული საშუალო სკოლის დირექტორს  
გ. ჯაფარლის, ყარაიაზის რუსული საშუალო სკოლის დირექტორს  
ს. ტრაპეზანოვს, ტატიანოვკის ა/ს საშ. სკოლის დირექტორს ზ. რო-  
გოვს, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს განთესილ მოსწავლეთა სკო-



ლებში დაბრუნება, სუსტად მუშაობდნენ საყოველთაო-სავალდებულო  
სწავლების გატარებისათვის, გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

7. წინადადება მიეცეს ყარაიაზის რაიონის გან. განკ. გამგეს  
ამხ. ნაიბოვს ერთი დეკადის განმაელობაში დააზუსტოს იმ მასწავლე-  
ბელთა სია, რომლებიც სკოლაში მუშაობას არ აწარმოებდნენ და  
სკოლაში მხოლოდ ხელფასის მისაღებად ცხადდებოდნენ და ასეთები  
მისცეს პასუხისმგებაში.

8. კესალინის საშ. სკოლის მასწავლებლების, ისმაილოვის და  
მახმედოვის საკითხი, რომლებიც არა თუ არ იბრძოდენ საყოველ-  
თაო-სავალდებულო სწავლების გატარებისათვის, არამედ ამ საქმის  
ჩაშლაში თითონვე მიუწლვით ბრალი, გადაღებულ იქნას მათი დაუს-  
ტრებლობის გამო.

9. იმ ადგილობრივი პასუხისმგებელ მუშაკების მოქმედების შე-  
სახებ, რომლებიც არათუ არ ეშმარებიან სკოლას საყოველთა-სავალ-  
დებულო სწავლების კანონის გატარების საქმეში, არაპედ თვითონ  
უშლიან ხელს ამ საქმეში საკუთარი ბავშვების მეცადინეობიდან მო-  
წყვეტით, ეცნობოს საქ. კ. პ. (ბ) ყარაიაზის რაიონში და აღმასრულე-  
ბელ კომიტეტს სათანადო ზომების მისაღებად.

10. პოლიტგანმუშაობის სამმართველომ ყარაიაზის რაიონში  
შეამოწმოს კლუბების, ქოხ-საჭირო ხელოვების მუშაობა და გაატაროს  
სათანადო ღონისძიებები არსებულ დარღვევათა და დეუქეტების სას-  
ტრაფოდ აღმოსაფხვრელად.

11. სარაიონო და საქალაქო განათლების განყოფილებებმა ეს  
ბრძანება განიხილონ სკოლის დირექტორების (გამგების) თათბირზე  
და მოსწავლეთა შუობლებს შორის და დასახონ ღონისძიებანი მუშა-  
ობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი გ. კიკნაძე

ბ რ ძ ა ნ ვ ბ ა № 3364

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1942 წ. 28 მაისი

ჩალ. თბილისი, სკოლაში ინგლისური ენის საბაზო უსაბედობების

აღვნიშნავ, რომ უცხო ენების, კერძოდ ინგლისური ენის სწავ-  
ლების გაუმჯობესების შესახებ საქ. სსრ განათლების სახალხო კომ-  
ისარიატის 1942 წ. 25 ნოემბრის ბრძანების ჩეალიზაციის  
საქმეში ქალაქ თბილისის სკოლებში მიღწევებს აქვს აღგილი,  
რაც გამოიხატება შემდეგში:

ა) თბილისის რიგ სკოლებში ინგლისური ენის მასწავლებლებისა  
თა შემადგენლობა ცენტისა და ბეჭაგოგიური მომზადების მხრივ  
ძირითადად დამაკმაყოფილებელია.

წარჩინებულებებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ  
შემდგენ მასწავლებლები: დ. ლოზოვაია (58 საშ. სკ.), ტ. ბელეც-  
კაია (41 საშ. სკ.), ტ. ბარანოვიჩ-ბუტოვიჩი (42 საშ. სკ.), ბ. ფე-  
რაძე (15 საშ. სკ.), ე. საფაროვა (106 საშ. სკ.). ამ სკოლების მას-  
წავლებლები სისტემატურად მუშაობენ თავის კვალიფიკაციის ამა-  
ღლებაზე, მუშაობას ეწევიან გეგმიანად წინასწარ შედგენილი გეგ-  
მების მიხედვით, პედაგოგიურ პროცესს აწარმოებენ პედაგოგიურ  
მოთხოვნილებათა შესაბამისად, მოხერხებულად იყენებენ დიდაკტი-  
კურ მასალას, მედგარ მუშაობას აწარმოებენ სიტყვების სწორად  
გამოქმნაში, სათანადოდ უკავშირებენ თეორიას პრაქტიკასთან,  
საპროგრამო მასალის შერჩევისას განსაკუთრებულ ყურადღებას  
აქცევენ სკოლის აღმზრდელობით ამოცანებს სამამულო ომის პი-  
რობებში, წერითი სამუშაოებს ასრულებენ საქ. სსრ განსახვობის  
მიერ დადგენილ ნორმების მიხედვით და დროულად ასწორე-  
ბენ მათ.

ასეთი მოგვარებული მუშაობით ეს მასწავლებლები იწვევენ  
მოსწავლეებში დიდ ინტერესს ინგლისური ენის შესწავლის საქმეში,  
მოსწავლეებს აქვთ სიტყვათა სათანადო მარაგი, ბეჯითად ცდილო-  
ბენ მიიღონ სათანადო ჩვევა და გამოცდილება, ილაპარაკონ ინგლი-  
სურ ენაზე; ინგლისურ ტექსტს კითხულობენ კარგად და სწერენ  
დამაკმაყოფილებლად.

ამ მიღწევებთან ერთად ზოგიერთ გამოკვლეულ სკოლაში  
მნიშვნელოვან დეფექტებს ჰქვეს აღგილო.

მასწავლებლები: ი. ტრიპოლსკი (1 საშ. სკ.) 2, მ. გეგელაშვილი  
(28 საშ. სკ.) და მ. მერეკული (6 საშ. სკ.) არ ცდილობენ აიმაღლონ  
თავიანთი კვალიფიკაცია, მუშაობენ უგეგმოდ, უმრავლეს შემთხვევაში  
არა აქვთ თემატიკური გეგმა და გაკვეთილის გეგმა, ხშირშემთხვე-  
ვაში გაკვეთილისათვის არ ემზადებიან, ამასინჯებენ ტექსტს და  
უშვებენ შეცდომას გამოთქმაში, ხმის ამაღლებაში, იშვიათად აწარ-  
მოებენ წერითი სამუშაოებს და ასწორებენ უკანასკნელს ცუდად,  
აკადემიურ საათს იყენებენ არამიზანშეწონილად, გაკვეთილის ში-  
ნაარსი არის გაუღენთილი ისეთ მომენტებით, რომლებიც იწვე-  
ვენ მოსწავლეებში ინტერესს, რაც ხელს უწყობს დისკიპლინის  
დარღვევას მოსწავლეების მხრივ.

ამასთან ერთად ამ სკოლების მასწავლებლები არ აწარმოებენ  
მუშაობას ივარჯიშონ მოსწავლეებმა ზეპირმეტყველებაში. განსა-  
კუთრებულად უჭირო მოსწავლეებს გამოთქმა. ძლიერ ცუდად არის,  
დაყენებული საქმე ძნელ ბერათა კომპინირების შეთვისების მხრივ,  
მასწავლებლები მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ახუნენ ახალი სიტ-  
ყვების ფონეტიკურ ანალიზირებას, არავითარ მითითებას არ იძლე-  
ვიან რითმისა და ინტონაციის შესახებ, ამასთანავე კალიგრაფიასაც  
ნაკლები ყურადღება ექცევა. აქედან გამომდინარე ვბრძან ებ:

### I. დაუვალოს ინგლისური ენის მასწავლებლებს:

ა) ყოველდღიურად იმუშაონ თავიანთი კვალიფიკაციის ამაღლე-  
ბაზე, ბეჯითად და სისტემატურად ემზადონ ყოველი გაკვეთილი-  
სათვის და მუშაობა აწარმოონ გეგმიანად საქ. სსრ განსახეობის  
მოთხოვნის შესაბამისად (წლიური და ოქმატიკური გეგმები). გაკვე-  
თილის გეგმა);

ბ) გაკვეთილებზე დიდაქტიკური მასალების ყოველმხრივი  
გამოყენებით და გაძლიერებული ვარჯიშით მიაღწიონ იმას,  
რომ მოსწავლეებს გამოთქმა ჰქონდეთ საცხებით შესაბამისად იმ  
მოთხოვნალებებისა, რომლებიც გამობინარეობენ ინგლისური ენის  
თავისებურებებისაგან და რომ მოსწავლეებმა შესწავლილი გრამა-  
ტიკული ფორმები გამოიყენონ ზეპირმეტყველებაში.

გ) საპროგრამო მასალის შესწავლისას, განსაკუთრებით უფროს  
კლასებში, დასახელებულ იქნეს ფაქტები და მაგალითები, რომ-  
ლებიც ახასიათებენ საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლის გერმა-  
ნელ მტაცებელთა წინააღმდეგ და იწვევენ უსაზღვრო სიძულვილს  
კაცობრიობის უბოროტესი მტრის—ჰიტლერიზმისაღმი და აქეზებს  
მოსწავლეებს იყვნენ გაბედული, მამაცი და საგმირო საქმის ჩამ-  
დენი.

დ) წერითი სამუშაოები შესრულებულ იქნეს საქ. სსრ განსახ-  
ეობის მიერ დადგენილი ნორმის მიხედვით და განსაკუთრებული ყუ-  
რადღება მიექცეს თავის დროზე მათს გასწორებას სათანადო ზომის  
მიღებით იმისათვის, რომ გაკვეთილებზე ჩატარებულ იქნეს რიგი  
ვარჯიშობანი ორთოგრაფიული ჩვევების გასამტკიცებლად. ამასთა-  
ნავე სათანადო ყურადღება მიექცეს კალიგრაფიას და რვეულების  
სისუფთავეს.

ე) საშუალო სკოლის უფროს კლასებში მოწესრიგდეს საშრეო  
მუშაობა ინგლისური ენის შესასწავლად კლასგარეშე კითხვის პრაქ-  
ტიკის დანერგვით

## II სკოლების დარექტორებს:

ა) ახალი სასწავლო წლიდან უზრუნველყოფილ იქნეს სკოლები ინგლისური ენის სახელმძღვანელოებისა და რვეულების სათანადო რაოდენობით;

ბ) დახმარება გაუწიონ ინგლისური ენის მასწავლებლებს მათს შეკვეთით და მოწესრიგდეს საგნობრივი კომისიების მუშაობა და ინგლისური ენის შესწავლის საკითხების განხილვა სშირად იქნეს დასმული პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე.

გ) ნორმალური წრეობრივი მუშაობისა და კლასგარეშე კითხვისათვის სათანადო პირობების შექმნის მიზნით სასკოლო ბიბლიოთეკა მომარაგდეს შესაბამისი ლიტერატურით ინგლისურ ენაზე.

## III ხაქალაქო და რაიონის განათლების განყოფილებებს და პედაგოგიურ კაბინეტებს:

ა) ინგლისური ენის სწავლების ცალკეულ სკოლებში სისტემატურად შემოწმების ხაშუალებით გაეწიოს დახმარება ინგლისური ენის მასწავლებლებს, საუკეთესო მასწავლებლების გამოცდილება განზოგადოებულ და დაყვანილ იქნეს სკოლებამდე;

ბ) თბილისის განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტთან შეიქმნას ბიბლიოთეკა და თანდათანობით იქნეს შევსებული როგორც მეთოდური, ისე მხატვრული ხასიათის ლიტერატურით ინგლისურ ენაზე;

გ) თბილისის განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტმა ინგლისური ენის მასწავლებელთა აქტივის დახმარებით სისტემატურად აწარმოოს მუშაობა ფონეტიკაში და მოახდინოს ინგლისური ენის სახელმძღვანელოების ტექსტების აღობტაცია მათი დამუშავების მეთოდებზე მითითებით.

დ) საქალაქო და რაიონულ განათლების განყოფილებებმა თავიანთ საანგარიშო მოხსენებებში მოგვცენ უფრო დაწვრილებითი ცნობები ინგლისური ენის სწავლების მდგომარეობის შესახებ ამათურმ ქალაქისა და რაიონში;

IV საქართველოს განსახეობის სკოლების სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტმა მოაწყოს და სისტემატურად აწარმოოს მეთოდური მუშაობა ინგლისური ენის მასწავლებელთა შორის.

დაწყებითი და საშუალო სკოლის სამშართველომ მიიღოს საჭირო ზომები თვალსაჩინო ხელსაწყოებისა და ტაბულების გამოცემად ინგლისური ენის წარმატებით სწავლებისათვის.

V. ა) მუშაობაში ნაკლოვანებისათვის, რაც გამოიხატება იმაში, რომ არ მუშაობენ გეგმიანად, ზერელედ ემზადებიან გაკვეთილებისათვის, მოსწავლეებს სუსტად ძქვო შეთვისებული საპროგრამო მასალა და გაკვეთილების დროს ვერ იცავენ კლასში სათანადო დისციპლინას, მასწავლებლებს: მ. მერეკულს (მე—6 საშ სკ.) და მ. გეგელაშვილს (28 საშ. სკ.) მიეცეს გაფრთხილება და დაევალოს მათ მომავალ სასწავლო წელს გამოასწორონ ზემოდაღნიშნული ნაკლოვანებანი თავიანთ მუშაობაში.

განთავისუფლდეს თბილისის I საშ. სკოლის მასწავლებელი ი. ტრიპოლსკი, ვინაიდან მას (ტრიპოლსკის) არა აქვს სათანადო მომზადება ინგლისურ ენაში.

VI. ეს ბრძანება განხილულ იქნეს რესპუბლიკის არასრული საშუალო და საშ. სკოლების პედაგოგიურ საბჭოების სხდომებზე და გატარებულ იქნეს კონკრეტული ღონისძიებანი ინგლისური ენის სწავლების გაუმჯობესებისათვის.

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი  
გ. კიკეაძე

სსრ  
განათლების სახალხო  
კომისარიატი  
2 მაისი 1942 წ.  
№ 175.

აზხაზეთის და აპარის ასსრ განსახ-  
კომის, სამხრეთ-ოსეთის აგრ, ოლ-  
შის განათლების განცოლილების,  
ჩველა სარაიონო და საჩალაკო  
განცოლილებათა გამომება

ბიბლიოთეკების მუშაობის შემოწმებიდან ირკვევა, რომ მთელი რიგი ბიბლიოთეკები ევაკუირებულ მოსახლეობას სათანადო მომსახურეობას ჯერ კიდევ ვერ უწევენ როგორც თვითონ ბიბლიოთეკებში, ისე აგიტპუნქტებსა, საევაკუციო პუნქტებსა და ევაკუირებულთა საერთო საცხოვრებლებში. ზოგ შემთხვევაში ბიბლიოთეკა ევაკუირებულ პირებს წალებულ წიგნებზე საწინდარს ატოვებინებს, რაც ართულებს ევაკუირებულთა წიგნით მომსახურებას.

საქართველოს სსრ განსახურმს ასეთი მდგომარეობა, დაუშვებლად მიაჩნია და წინადადებას იძლევა ევაკუირებული მოსახლეობის უკეთ მომსახურების მიზნით გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. ბიბლიოთეკებმა წიგნით მომსახურება გაუშიონ მათ სა-  
შოქმედო ტერიტორიაზე მიწერილ ყველა ევაკუირებულ მოქალაქე-  
საერთო წესის საფუძველზე, ფართოდ მოიზიდონ ახალი მკითხვე-  
ლები ევაკუირებული მოსახლეობის რიგებიდან, რისთვისაც ბიბლიო-  
თეკებმა გაატარონ ლონისძიებანი თავის მუშაობის პოპულარიზა-  
ციისათვის ევაკუირებულთა შორის.

2. თითოეულმა ბიბლიოთეკამ აწარმოოს ევაკუირებული მოსა-  
ხლეობიდან მკითხველების ცალკე აღრიცხვა, მათი კითხვის ინტე-  
რესის შესწავლა, ამ მკითხველების მოთხოვნათა შესაბამისად წიგ-  
ნადი ფონდის დაკომპლექტება და რესპუბლიკის ცენტრალური ბი-  
ბლიოთეკებიდან ბიბლიოთეკათშორისი აპონენტის წესით საჭირო  
ლიტერატურის გამოწერა.

3. საევაკუაციო პუნქტებსა, აგიტპუნქტებსა, რეინის გზის სა-  
დგურებსა და ევაკუირებულთა საერთო საცხოვრებლებში მოეწყოს  
მოძრადები, სათანადო დაკომპლექტებული პოლიტიკური, სამხედრო-  
თავდაცვითი, მხატვრული და საწარმოო ხასიათის ლიტერატურით.

4. აღნიშვნულ პუნქტებში ჩამოყალიბდეს შესაფერისი ლოზუნ-  
ებით და პლაკატებით გაფორმებული სამკითხველო, თვალსაჩინო  
ადგილის გამოიკრას ლიტერატურის სარეკომენდაციო სიები, მოე-  
წყოს სააგიტაციო ვიტრინები, სამამულო ომისადმი მიძღვნილი გა-  
მოფენები და სხვ. იმასთან ერთად უზრუნველყოფილ იქნას სამ-  
გითხველოები უზრნალებისა და გაზეთებით.

5. ევაკუირებულ მოსახლეობაში ფართოდ გაიშალოს სააგი-  
ტაციო-მასობრივი მუშაობა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს  
კოლეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და საწარმოებში მათი  
ჩაბმის საკითხებს.

6. ბიბლიოთეკებში, აგიტპუნქტებში, აგრეთვე საევაკუაციო  
პუნქტებსა და ევაკუირებულთა საერთო საცხოვრებლებში მოეწყოს  
საცნობო მაგიდები, რომლებიც უზრუნველყოფილ იქნან უმთავრე-  
სად სამამულო ომის პერიოდში გამოსულ პარტიისა და მთავრობის  
დადგენილებებით, ევაკუირებული მოსახლეობის მომსახურების შესა-  
ხებ სახელმძღვანელო მასალების საგაზირო ამონაჭრებით, დადგენი-  
ლებებით სამხედრო სამსახურში მყოფთა და მათი ოჯახების წევრთა  
შელავათების შესახებ, კანონთა კრებულებით, სხვადასხვა ცნობარებით,  
კარტოთეკებით, ლიტერატურის საძიებლებითა და სხვა საცნო-  
ბო მასალებით, რომლებიც საჭიროა ევაკუირებულ მოსახლეობის  
მომსახურებისათვის.

საცენობო მაგიდასთან შემოღებულ ზორიგეობაში ჩაბრული არის მასში განვითარებულ მკითხველები, განსაკუთრებით მასწავლებლების მიერთვისას და მასთვისაც საერთო მოძრადების დაკომპლექტებისას მხედველობაში იქნას მიღებული სამამულო ომის პერიოდში გამოცემული საბავშვო ლიტერატურის შეძენა. ამასთანავე ერთად მოეწყოს საბავშვო ლიტერატურის სპეციალური მოძრადები.

8. ბიბლიოთეკებმა კავშირი და ამყარონ ევაკუირებულ დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან და ბიბლიოთეკათშორისო აბონე-მენტის წესით უზრუნველყონ მათი მომსახურება წიგნებით, უზრნალ-გაზეოვებითა და სხვ.

9. ევაკუირებულთა შორის საბიბლიოთეკო მუშაობის სათანა-დოდ დაყენების მიზნით გამოიყოს ბიბლიოთეკის შტატიდან ამ მუშაობისათვის პასუხისმგებელი პირი.

10. ევაკუირებული მოსახლეობის აგიტმასობრივი და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებით შესაფერისი მომსახურების უზრუნველსაყოფად ბიბლიოთეკებმა მჭიდრო კონტაქტი დაამყარონ საქ. ქ. პ. (ბ) რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებებთან.

11. სახალხო განათლების სარაიონო და საქალაქო განყოფილებებმა სისტემატური კონტროლი გაუწიონ ბიბლიოთეკების მიერ ევაკუირებული მოსახლეობის წიგნით მომსახურების საქმეს და დაფ-ხმარონ მათ ამ მუშაობის შესაფერისად ორგანიზებაში.

განათლების სახ. კომისარის მოადგილე მ. ბურჟულაძე

ბიბლიოტეგანმუშაობის სამმართველოს უფროსი ა. გაბისონია

სსრ  
განათლების სახალხო  
კომისარიატი  
2 მაისი 1912 წ.  
№—170

აფხაზეთისა და აზარის ახლ ვადეას-  
როვანს, სამხრეთ-ოცენის აღმ. ილ-  
აის განათლების განვითარების, სა-  
ხალხო განათლების უმაღლეს სარაიო-  
ნო და სამართლად განვითარებისა  
და პოლიტსაზამთანათლებო. დაზია-  
ნული განვითარების განვითარებისა

შემოწმებით დადასტურდა, რომ განსახვომის მათითვებანი სანი-  
ტარიისა და ჰიგიენის დაცვის შესახებ რაგ პოლიტგანდაწესებულებე-

ბშე არ სრულდება. ზოგან საკმაო ენერგიით არ იბრძვიან იმისა თუ კანკელიანი არ რომ პოლიტგანდაწესებულებებში დაცული იქნას სისუფთავე, წეს-რიგი და კულტურული ვითარება. ამასთან ერთად ზოგიერთი პოლიტგანდაწესებულება არ ატარებს საჭირო მასობრივ-სააგიტაციო ლონისძიებებს კოლმეურნეთა პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვის ირგვლივ.

პოლიტგანდაწესებულებებში სისუფთავის, წესრიგის, სანიტარიისა და ჰიგიენის დაცვის, აგრეთვე მოსახლეობაში სანიტარულ-ჰიგიენური პრობაგანდის გაშლის უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა გატარდეს შემდეგი ლონისძიებანი:

1. პოლიტგანდაწესებულებათა ოთახების, დარბაზების, ფოიედერეფნების, წიგნთსაცავ-სამკითხველოს, კიბეების დაგვა-დასუფთავება ხდებოდეს ყოველდღე.

2. იატაკების მორეცხვა, კიდლების, ჭერის, კარ-ფანჯრებისა და ავეჯეულობის დასუფთავება ხდებოდეს კვირაში ორჯერ და მასობრივ ლონისძიებათა შემდეგ.

3. სისტემატურად უნდა ხდებოდეს შენობაში ჰაერის გასუფთავება, როგორც ეს შინაგანაწესითაა გათვალისწინებული.

4. შესასვლელ კარგების აუცილებლად უნდა იყოს ფეხის სა-წმენდი და ყურადღება მიექცეს იმას, რომ მომსვლელებმა შენობაში შესვლისას ფეხი აუცილებლად გაიწმინდონ.

5. პოლიტგანდაწესებულებაში აუცილებლად უნდა იყოს ტანსაცმელის საკიდი, სადაც საჭიროა დაცული იქნას სისუფთავე.

6. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საპიროფარეშოში სისუფთავის დაცვას, რეგულარულად ხდებოდეს საპირფარეშოს დეზინფექცია ქლორის კირის ან სხვა სსნარით.

7. პოლიტგანდაწესებულების ეზოში დაცული უნდა იქნას სისუფთავე და წესრიგი, ნაგვისა და ნარჩენების ჩასაყრელად ეზოში დაიდგას სანაგვე ყუთი, რომელიც წესიერად უნდა იქნას გამოყენებული და რეგულარულად ხდებოდეს ნაგვის გატანა.

8. შენობაში (ოთახებში და დერეფნებში) საკმაო რაოდენობით უნდა მოიძოვებოდეს სანაგვე ურნები და საფურთხებლები, შესაფერისი ყურადღება მიექცეს მათს წესიერად გამოყენებას და სისტემატურად გასუფთავებას.

9. ოთახებში და დერეფნებში დაიდგას თავდახურული ჭურჭელი (სურები) ადულებული წმინდა სასმელი წყლით, მასთან სუჟოა ჭიქები, ხშირად უნდა ხდებოდეს სურების და ჭიქების გარეცხვა-გასუფთავება.

10. განსაკუთრიებული ყურადღება უნდა მიექცეს პოლოგიზაცია  
დაწესებულების მომუშავეთა პირად ჰიგიენას.

11. პოლიტგანდაწესებულება სისტემატურად უნდა ატარებ-  
დეს მასობრივ ლონისძიებებს მოსახლეობაში სანიტარულ-ჰიგიენური  
პროცედურის დარგში, რეგულარულად აწყობდეს შესაფერისი ლი-  
ტერატურის ხმამაღალ კითხვას, ლექციებს, საუბრებს სანიტარიისა  
და ჰიგიენის საკითხებზე, კოლმეურნეთა პირად და საზოგადოებრივ  
ცხოვრებაში, საცხოვრებელ ბინებში, ეზოებში, ქუჩებში სანიტარულ-  
ჰიგიენური პირობების დაცვის შესახებ და სხვ.

12. ბიბლიოთეკებში უნდა მოეწყოს სანიტარულ-ჰიგიენური  
შინაარსის წიგნების გამოფენა, გამოიკრას შესაფერისი ლიტერა-  
ტურის სარეკომენდაციო სიები, გავრცელებულ იქნას მოსახლეობაში  
მეცნიერულ-პოპულარული წიგნები სანიტარიისა და ჰიგიენის საკი-  
თხებზე.

13. საცნობო-საკონსულტაციო ბიურომ უნდა მოაწყოს ცნობე-  
ბის გაცემა პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სანიტარულ-  
ჰიგიენური პირობების დაცვის, გადამდებ სხეულებათავან დაცვის  
საშუალებათა შესახებ და სხვ.

14. ქედლისა და საველე გაზეთებში სისტემატურად უნდა  
თავსდებოდეს ექიმის რჩევა-დარიგებანი სანიტარიისა და ჰიგიენის  
საკითხებზე, აგრეთვე შენიშვნები ამ დარგში არსებულ წარმატე-  
ბათა და ნაკლოვანებათა შესახებ.

15. მხატვრული თვითმოქმედების წრეების რეპერტუარში  
სანიტარულ-ჰიგიენურმა პროპაგანდამ თვალსაჩინო აღვილი უნდა  
დაიკავოს, ამასთან დროგამოშვებით ნაჩვენები უნდა იქნას შესა-  
ფერისი კინოფილმები სათანადო ახსნა-განმარტებით.

სანიტარულ-ჰიგიენური პროპაგანდის წესიერი ორგანიზაციი-  
სათვის პოლიტგანდაწესებულებამ უნდა დაიჭიროს კავშირი ჯან-  
მრთელობის დაცვის სარაიონო განყოფილებასთან და აღვილობრივ  
საექიმო წერტთან. განათლების სარაიონო და საქალაქო განყოფი-  
ლებებმა ოპერატიული ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ პოლიტგან-  
დაწესებულებებს სანიტარულ-ჰიგიენური პროპაგანდის დაყენების  
დარგში, დროგამოშვებით შეამოწმონ ნათი მუშაობა და პრაქტიკუ-  
ლად დაეხმარონ სათანადო ლონისძიებათა ორგანიზებაში.

საქ. სსრ განსახულის მოდგილე მ. ბურჭულაძე

პოლიტგანდუშაობის სამართველოს უფროსი ა. ვაბისონია

აუცხებითის და აპარის ასერ განსახოვებს, თავ-  
ხრმო-ოცხითის ავტ. ოლქის განათლების განცემ  
ფილების, სახ. განათლების უფლა სარაიონო და  
საჩალაშო განცოლებისათა გამზებს

1842 წ. ვ0—V,—№ 196.

ჰიტლერელ კაციჭამია ურდოების გასანადგურებლად საბჭოთა  
ხალხის მიერ წარმოებულმა დიდმა სამამულო ომშა ახალი, გრან-  
დიოზული ამოცანები დასახა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის,  
კერძოდ მეცხოველეობის წინაშე.

საქ. სსრ სახეომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კო-  
მიტეტმა თავიანთ დადგენილებაში აღნიშნეს, რომ ჯერ კიდევ და-  
ბალია მეცხოველეობის პროდუქტულობა, მაშინ როდესაც ომიანო-  
ბის პირობებში ფრონტი და ზურგი საჭიროებენ მეცხოველეობის  
პროდუქციის მაქსიმალურად გადიდებას. თითოეული პარტიული და  
საბჭოთა ორგანიზაციის საბრძოლო ამოცანა ისე წარმართონ მთე-  
ლი მუშაობა, რომ მიღებული იქნას ხორცის, რძის, ერბო-კარაქის,  
მატყლის მეტი პროდუქცია.

ამასთან დაკავშირებით სახალხო განათლების იდგილობრივი  
ორგანოების მოვალეობას შეადგენს მიმდინარე წელს კიდევ უფრო  
გააძლიერონ საზაფრულო იალაღებზე მყოფ მომათაბარეთა შორის  
მასობრივ პოლიტიკური მუშაობა, რისთვისაც გევალებათ:

1. იდგილობრივ მიწათმოქმედების ორგანიზაციან ერთად შეი-  
მუშაოთ საზაფრულო იალაღებზე მყოფ მომათაბარეთა კულტომსა-  
ხურების ერთიანი გეგმა (გეგმა დამტკიცებულ უნდა იქნას გურო-  
მელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მიერ).

2. უზრუნველყოფილ იქნას საზაფრულო იალაღებზე და სამუ-  
შაო იდგილებზე ყოველდღიური პოლიტიკური ინფორმაციის ჩატა-  
რება: გაზეთებიდან საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობების,  
პარტიისა და მთავრობის დადგენილებების, თავდაცვის სახელმწიფო  
კომიტეტის ღონისძიებების და სხვათა წაკითხვა და წაკითხულის  
